



სასერტიფიკატო და საუნივერსიტეტო კურსი - დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები

2021-2022 აკადემიური წლის, გაზაფხულის სემესტრი
კურსების დეტალური აღწერა/ ლექტორების კვალიფიკაცია

1. დეზინფორმაცია და საზოგადოება

ლექტორ(ებ)ი: ნინო გოზალიშვილი; რევაზ თოფურია;

- ფორმატი: აუდიტორიაში, საქართველოს უნივერსიტეტი; 807, IV კორპუსი;
- კურსის ენა: ქართული
- საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: დეზინფორმაციას თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაზე მზარდი და მრავალწახნაგოვანი გავლენა აქვს. ამ ფონზე მნიშვნელოვანია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მოკლე და გრძელვადიანი გავლენების ანალიზი დემოკრატიულ რეჟიმებზე, ისევე როგორც დემოკრატიის, როგორც ძირითადი მმართველობის ფორმის, იდეის ტრანსფორმაციაზე. კურსის მონაწილეები შეძლებენ იმსჯელონ დეზინფორმაციის კავშირსა და ურთიერთ გადაკვეთაზე ისეთ თანამდევ პოლიტიკურ დისკურსებთან, როგორცაა ნაციონალიზმი და მემარჯვენე პოპულიზმი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დეზინფორმაციის გავლენას დემოკრატიზაციის პროცესებზე, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ და იმსჯელონ პოსტ-სოციალისტური ქვეყნების მაგალითებზე. კურსის თემატიკა: დეზინფორმაციისა და პროპაგანდის თეორიული მიმართება დემოკრატიულ იდეალებთან; დეზინფორმაციის ინსტრუმენტალიზაცია მემარჯვენე რადიკალური ძალების მიერ; დეზინფორმაციის როლი პოპულისტურ პოლიტიკასა და დისკურსში; დეზინფორმაციის ეფექტები დემოკრატიზაციის პროცესზე.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

ნინო გოზალიშვილი, მეცნიერებათა სადოქტორო კანდიდატი ნაციონალიზმის კვლევებისა და შედარებითი ისტორიის ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CEU). 2019 წლიდან ნინო CEU-ს სასწავლო ასისტენტი, ხოლო ილიასა და საქართველოს უნივერსიტეტებში მოწვეული ლექტორია. უმაღლესი განათლების საფეხურზე

სწავლების კუთხით, ნინო ფლობს CEU-ს სწავლების ცენტრის მიერ გაცემულ სერთიფიკატს (CTL Program for Excellence in Teaching in Higher Education). ნინო მოკლე და გრძელვადიან კვლევით საქმიანობას ეწეოდა ისეთ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან, როგორცაა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიის ცენტრი ბუდაპეშტში, კონრად ადენაუერის ფონდი, Freedom House, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ნინოს პუბლიკაციები შეეხება საქართველოს საბჭოთა ისტორიას, მემარჯვენე პოპულიზმის, დემოკრატიზაციისა და დეზინფორმაციის საკითხებს, ისევე როგორც რბილი ძალის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში. ნინო გოზალიშვილი ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს ნაციონალიზმის კვლევების მიმართულებით და ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (თსუ). იგი ასევე სწავლობდა ვარშავის უნივერსიტეტში და ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში, ფრანკფურტში (ოდერი).

რევაზ თოფურია - 2019 წლიდან გახლავთ საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ის ასევე კითხულობს ლექციებს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და ევროპის უნივერსიტეტში. რევაზმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, მოიპოვა რა ბაკალავრის დიპლომი საერთაშორისო ურთიერთობებში შორეული აღმოსავლეთის სპეციალიზაციით. ასევე სწავლობდა ჩინეთში, ლანჭოუს უნივერსიტეტში. მაგისტრის ხარისხი კი რევაზს დაზვერვის, უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კვლევების მიმართულებით მიენიჭა გლაზგოს უნივერსიტეტისგან (დიდი ბრიტანეთი), დუბლინის უნივერსიტეტისგან (ირლანდია) და ჩარლზის უნივერსიტეტისაგან (ჩეხეთი). მას გააჩნია საჯარო და არასამთავრობო სექტორებში მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება. რევაზი გახლავთ რამდენიმე აკადემიური ნაშრომისა და პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ წიგნის ავტორი.

2. კოლექტიური მუშაობა და მისი როლი ქართულ პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

ლექტორ(ებ)ი: ზურაბიშვილი დავით,

- ფორმატი: აუდიტორიაში, საქართველოს უნივერსიტეტი; 806, IV კორპუსი;
- კურსის ენა: ქართული
- საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში დიდი როლი უჭირავს ერების კოლექტიურ მუშაობას. იმის გათვალისწინებით, ერთი მხრივ ევროპის უმეტესმა ქვეყნებმა ერთმანეთს აპატია წარსულის დანაშაულები და საერთო კულტურული და პოლიტიკური სივრცის შექმნას ცდილობს. ამავდროულად ვხედავთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი ცდილობს საბჭოთა კავშირიდან გასული

სახელმწიფოებისთვის მეხსიერების საკუთარი ნარატივის მოხვევას თავს და პოლიტიკური პროცესების ამ კუთხით განსაზღვრას. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის მეხსიერების პოლიტიკის სწორი გააზრება ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს.

კურსის ფარგლებში მოხდება სტუდენტებისთვის კოლექტიური მეხსიერების კვლევათა სფეროში არსებული ძირითადი თეორიების გაცნობა, წარსულიდან დასამახსოვრებელი ინფორმაციის შერჩევისა და ინტერპრეტაციის სოციალური და კულტურული განპირობებულობის ჩვენება. ისტორია განიხილება და გაიზრება, როგორც სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციათა თანაარსებობა და არა მხოლოდ, ქრონოლოგიურად დალაგებული ფაქტების ერთობლიობა.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

დავით ზურაბიშვილი, არის მოწვეული ლექტორი საქართველოს უნივერსიტეტში. მას ასევე მიჰყავს ლექციების კურსი სხვადასხვა საგანში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, ევროპის უნივერსიტეტში და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA). არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“ დამფუძნებელი და გამგეობის წევრი (1996-2004) საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008). განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (2012-2013), თბილისის საკრებულოს წევრი (2014-2017). ლიტერატურული პრემიების „საბავშვო პროზა 96“ (გამარჯვებული) და „წერო 2017“ (კულტურის სამინისტროს სპეციალური პრიზი). ლაურეატი. არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი ქართულ და უცხოურ მედიაში. საქართველოს მშვიდობის ელჩი ისრაელში (2004).

3. არქივები, მედია და ფაქტები

- ფორმატი: აუდიტორიაში, საქართველოს უნივერსიტეტი;
- კურსის ენა: ქართული
- საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

ლექტორ(ებ)ი: ანტონ ვაჭარაძე, მოწვეული ლექტორი ანა ოლიინიკი

კურსის მიზნები და შედეგები: კურსის მსმენელებს, მომავალ ჟურნალისტებს ექნებათ საბაზისო ცოდნა, რათა შექმნან საკუთარი მედია პროექტები საარქივო მასალების საფუძველზე. კურსის მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას საარქივო დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ, თუ როგორ უნდა გადავიდეს იგი მედია ფორმატში და

როგორ დაარწმუნონ რედაქტორები, რომ გამოაქვეყნონ მასალა ისტორიულ თემაზე. განხილული იქნება სტატიები და პროექტები, რომლების უკვე გამოქვეყნდა ისეთ ქართულ და საერთაშორისო პორტალებზე როგორებიცაა - პუბლიკა, რადიო თავისუფლება, BBC, საერთაშორისო მემორიალი, არზამასი და ა.შ.

კურსის ბოლოს, თითოეული სტუდენტი მოამზადებს თემას ან მიკრო-კვლევას საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით. კურსის თემატიკა: არქივების რაობა და საარქივო დოკუმენტების სახეობები; საქართველოში დაცული არქივები და კვლევების შესაძლებლობა; პრაქტიკული ვიზიტები საქართველოს შსს არქივსა და სხვა არქივებში.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

ანტონ ვაჭარაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, IDFI-ს საარქივო, მეხსიერების კვლევისა და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელი. 8 წლის მანძილზე საქართველოს ეროვნულ არქივში, მათ შორის 6 წლის მანძილზე საისტორიო არქივის დირექტორის პოზიციაზე. აქვს არქივებში კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება. 2018 წელს იყო კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

ანა ოლიინიკი, უკრაინის განმათავისუფლებელი მოძრაობის შემსწავლელი ცენტრის დირექტორი. პროექტის - Deconstruction. Архивы КГБ для медиа ავტორი. IDFI-ს პროექტის - „არქივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“ პარტნიორი.

პროგრამა დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

4. კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის საფუძვლები

- ფორმატი: აუდიტორიაში, საქართველოს უნივერსიტეტი;
- კურსის ენა: ქართული
- საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

ლექტორ(ებ)ი: ანდრო გოცირიძე

კურსის მიზნები და შედეგები: კიბერსივრცის მზარდი გამოყენების პროპორციულად იზრდება რისკები. სამწუხაროდ, იმუნიტეტი კიბერუსაფრთხოებაზე არ არსებობს. კურსი მსმენელს შეასწავლის მსოფლიოს და საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს, კიბერსივრცეში არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს, დესტრუქციული აქტორების კიბერშესაძლებლობებს, კიბერდომეინის გამოყენების ისტორიას თანამედროვე კონფლიქტებში, ასევე ატრიბუციისა და კიბერსივრცეში სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის მქონე ქცევის ძირითად პრინციპებს.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

ანდრო გოცირიძე - კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის CYSEC დამფუძნებელი. თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორი 2014 - 2017 წწ, გენერალური ინსპექტორი 2012-2014 წწ. სხვადასხვა დროს მუშაობდა თავდაცვის სამინისტროსა და სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 2008-2012 წლებში იყო სს „პრივატბანკისა“ და სს „ბანკი კონსტანტას“ უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი. მისი უმუხლო მონაწილეობით დამუშავდა ეროვნული და თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგიები, საფუძველი ჩაეყარა კიბერრეზერვის პროექტს და სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების კიბერუსაფრთხოების სფეროში ტრენინგებად ინტეგრაციას, დაინერგა კიბერცნობიერების ამაღლების მრავალკომპონენტური სისტემა. კითხულობს ლექციებს BTU, შავი ზღვის საერთაშორისო და კავკასიის უნივერსიტეტებში, ასევე GFSIS (რონდელის ფონდი)-ის, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ინსტიტუტისა და მედიის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტებში. არის 2015-16 წ. NATO PFPC მიერ შექმნილი Cyber Security Generic Reference Curriculum თანაავტორი.

1. Disinformation and Society

- Format: On-site, University of Georgia;
- Course language: Georgian
- Level: Bachelor (III-IV years) and Master

Lecturer (s): Nino Gozalishvili, Revaz Topuria;

Course objectives and results: Disinformation has a growing and multifaceted impact on modern global politics. Against this background, it is important to analyze the short- and long-term effects of disinformation and propaganda on democratic regimes, as well as on the transformation of the idea of democracy as a basic form of government. Course participants will be able to discuss the connection between disinformation and political discourses such as nationalism and right-wing populism. Particular attention will be paid to the impact of disinformation on democratization processes, in which students will be able to learn about and discuss examples from the post-socialist countries. **Course topics:** Theoretical relation of disinformation and propaganda to democracy; Instrumentalization of

disinformation by right-wing radical actors; the role of disinformation in populist politics and discourse; Effects of disinformation on the democratization process.

Lecturer qualification (s):

Nino Gozalishvili, PhD candidate in the Joint Doctoral Program in Nationalism Studies and Comparative History at Central European University (CEU). She is a researcher at IDFI memory and Disinformation Studies direction. Since 2019, Nino has been a teaching assistant at CEU, and a visiting lecturer at IliaUni and the University of Georgia. In terms of teaching at the higher education level, Nino holds a certificate issued by the CEU Training Center (CTL Program for Excellence in Teaching in Higher Education). Nino has conducted short and long term research with local and international research organizations such as the Center for Euro-Atlantic Integration and Democracy in Budapest, the Konrad Adenauer Foundation, the Freedom House, and the Georgian Policy Institute. Nino's publications cover the Soviet history of Georgia, issues of right-wing populism, democratization and disinformation, as well as the policy of soft power towards Georgia. Nino Gozalishvili holds a Master's degree in Nationalism Studies from Central European University and a Bachelor's degree in International Relations from Tbilisi State University (TSU). She also attended the University of Warsaw and the Viadrina European University in Frankfurt (oder) as an invited student.

Revaz Topuria- Since 2019 he is a visiting lecturer at the University of Georgia, Free university of Tbilisi, Agrarian University and European University. Revaz graduated with honors from Free University of Tbilisi, earning a bachelor's degree in international relations with a specialization in the Far East. He also studied at Lanzhou University in China. He has obtained a master's degree in Security, Intelligence and Strategic studies from University of Glasgow(Britain), University of Dublin(Ireland) and Charles University. He has a huge work experience in public and non-governmental sectors. He is an author of several academic works and a book about political ideologies.

2. Collective memory of nations and its role in Georgian politics and international relations.

Lecturer(s): Zurabishvili David

- Format: On-site, University of Georgia;
- Course language: Georgian
- Level: Bachelor (III-IV years) and Master

Course objectives and results: The collective memory of nations plays a major role in international relations and politics. Given that on the one hand most European countries have forgiven each other for the crimes of the past and are trying to create a common cultural and political space. At the same time, we see that in the post-Soviet space, Russia is trying to wrap its own narrative of memory for the states that left the Soviet Union and to define the political processes in this regard. Therefore, for international relations specialists, a correct understanding of memory policy should be one of the main goals.

Course topics: This course provides an introduction of the theories in the field of collective memory research, showing social and cultural conditionality of selecting and interpreting memorable information from the past. History is considered and analyzed as not only chronologically sorted facts, but also as coexistence of different interpretations.

Lecturer(s) qualification: David Zurabishvili is a visiting lecturer at the University of Georgia. He also teaches lectures on various subjects at Ilia State University, Caucasus University, European University and Georgian Institute of Public Affairs. He is a Founder and member of the board of the non-governmental organization "Freedom Institute" (1996-2004), member of the Parliament of Georgia (2004-2008), Deputy Minister of Education and Science (2012-2013) and Member of Tbilisi City Council (2014-2017). Laureate of literary awards "Children's Prose 96" (winner) and "Crane 2017" (special prize of the Ministry of Culture). He is an author of several publications in Georgian and foreign media. He was a Georgian Ambassador of Peace in Israel (2004).

3. Archives, Media and Facts

Lecturer (s): Anton Vacharadze, invited lecturer - Anna Oliinyk

- Format: On-site, University of Georgia;
- Course language: Georgian
- Level: Bachelor (III-IV years) and Master

Course objectives and results: Course participants will gain the basic knowledge needed to create their own media projects based on archival materials. Course participants will receive information about working with archival documents, answers to how to convert it to media format, and how to persuade editors to publish materials related to a historical topic. Articles and projects that have already been published on Georgian and international portals such as Public, Radio Liberty, BBC, International Memorial, Arzamas, etc. will be discussed. At the end of the course, each student will prepare a topic or micro-research based on archival documents. Course topics: The essence of archives and types of archival documents; Archives preserved in Georgia and the possibility of research; Practical visits to the archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia and other relevant archives in the country.

Lecturer(s) qualification:

Anton Vacharadze, Master in Humanities, Head of IDFI Archive, Memory and Disinformation Studies Direction. He worked for 8 years in the National Archives of Georgia, including the position of Director of the Historical Archive for 6 years. He has many years of research experience in archives. In 2018 he was a visiting lecturer at Caucasus University.

Anna Oliinyk, Director of the Center for the Study of the Liberation Movement of Ukraine, project - Deconstruction. Author of Archives of the KGB for the media. Partner of IDFI through the project - "Openness of Archives in the Former Soviet Republics and the Eastern Bloc Countries".

The Program is financed by the Swedish International Development Cooperation Agency, Sida. Responsibility for the content rests entirely with the creator. Sida does not necessarily share the expressed views and interpretations.

4. Principles of Strategy in Cyber Security

- Format: On-site, University of Georgia;
- Course language: Georgian
- Level: Bachelor (III-IV years) and Master

Lecturer (s): Andro Gotsiridze

Course objectives and results: The risks along with the increasing use of cyberspace. Unfortunately, there is no immunity to cyber threats. The course will provide an introduction to the legal framework of the world and Georgia, the threats and challenges in cyberspace, the cyber capabilities of destructive actors, the history of cyber domain use in modern conflicts, as well as severe principles of attribution and responsible behavior of states in cyberspace.

Lecturer(s) qualification:

Andro Gotsiridze – Founder of Cyber Security Studies and Education Center “CYSEC”. His over 20 years of working experience includes senior positions in Georgian Ministry of Defense (MoD) and Intelligence Services. He was a Director of the Cyber Security Bureau (MoD) in 2014-2017, Inspector General in 2012-2014 and served at the Anticorruption Bureau, Foreign and Military Intelligence services as a head of various departments in 2001-2008.

Under his leadership, the Cyber Security Bureau developed Georgia’s first Cyber Security Policy and Strategy and has initiated number of cyber security projects, such as, Cyber Reserve and multi-componential cyber security awareness raising project. He supported to train and employ soldiers wounded in international missions as trainers in cyber security.

Between 2008-2012 Mr. Gotsiridze switched his career to private sector and supervised Security Department of JSC “PrivatBank” (Ukraine) and JSC “Bank Constanta”. The area of his responsibilities included IT security, operational risks, antifraud management, internal security, and integrity checking.

Mr. Gotsiridze gives lectures at Business and Technology University, Caucasus University and International Black Sea University, Civil Servant Course organized by GFSIS (Rondeli Foundation) and Cyber Hygiene trainings in media literacy projects of Media Development Foundation. He was involved in several projects as a Cyber Security Advisor at the Georgia Innovation

1- ნინო გოზალიშვილი, IDFI-ს მკვლევარი, PhD კანდიდატი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

2- რევაზ თოფურია, UG მოწვეული ლექტორი, ფრანკლინის აკადემიის ხელმძღვანელი.

3. დავით ზურაბიშვილი, UG მოწვეული ლექტორი, „თავისუფლების ინსტიტუტი“ დამფუძნებელი;

4. ანტონ ვაჭარაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, IDFI-ს საარქივო, მეხსიერების კვლევისა და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელი.

5. ანდრო გოცირიძე, კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის CYSEC დამფუძნებელი.

1- Nino Gozalishvili, IDFI Researcher, PhD Candidate, Central European University;

2- Revaz Topuria, UG Invited Lecturer, Head of the Franklin Academy.

3. David Zurabishvili, UG Invited Lecturer, Founder of the “Freedom Institute”;

4. Anton Vacharadze, MA in Humanities, Head of IDFI Archive, Memory and Disinformation Studies direction.

5. Andro Gotsiridze, Founder of Cyber Security Studies and Education Center “CYSEC“.